საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

პრესრელიზი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52
ტელ: 43 88 19
ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge
საკონტაქტო პირი: ქეთევან ჩხობაძე

www.mes.gov.ge

30.06.08. - *დაუყოვნებლივი*

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ცენტრი

<u>მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდის პრეზენტაცია</u>

თარიღი:
2.06.08.

დრო;
14:00

ადგილი:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,

მისამართი:
უზნაძის ქ.№52

მონაწილეობენ:
გიორგი ნოდია - მინისტრი;

სოფო გორგოძე – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორი.

ამიერიდან მასწავლებლობის მსურველებს სამუშაო ადგილის მოძებნა ვებ-გვერდის საშუალებით შეეძლებათ

www.pedagogi.ge

2 ივნისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მასწავლებელთა ვაკანსიების სარეგისტრაციო ვებ-გვერდის პრეზენტაცია გაიმართება.

ახალი ვებ-გვერდი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით საჯარო ვებ-პორტალის www.tpdc.ge ფარგლებში შეიქმნა.

ვებ-გვერდის პოტენციურ მომხმარებლები იქნებიან საჯარო და კერძო სკოლები, რომლებსაც ექნებათ მასწავლებლის ვაკანსია, აგრეთვე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც სურვილი აქვთ დასაქმდნენ სკოლაში ან გაიარონ პრაქტიკა.

ვებ-გვერდის დახმარებით:

- მასწავლებლობის მსურველებს გაუადვილდებათ სამუშაო ადგილის მოძებნა;
- საჯარო სკოლებში მასწავლებლის აყვანის პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდება;
- სკოლებს ექნებათ უფრო ფართო არჩევანი მასწავლებელთა შერჩევის თვალსაზრისით.

საჯარო სკოლაში ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია აღნიშნული ვაკანსიის შესახებ.

იმ სკოლებს, რომლებსაც ინტერნეტზე ხელი არ მიუწვდებათ, შეუძლიათ მიმართონ შესაბამის რესურს-ცენტრს ან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას.

ვებ-გვერდზე ვაკანსიების განთავსება შეუძლიათ კერძო სკოლებსაც.

ვებ-გვერდის შესახებ მომზადდა საინფორმაციო ტრიპლეტი, რომელიც დარიგდება პრეზენტაციაზე.